ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №33
2012 წლის 22 ოქტომბერი

ქ. ბოლნისი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 32^6 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრს, რომელსაც არ მიეცემა ,,ბოლნისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ბოლნისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 22 ოქტომბრის №34 დადგენილებით დამტკიცებული თანამდებობრივი სარგო, საკრებულოს სხდომებზე დასწრების, განსახილველ საკითხებში მონაწილეობისა და ცალკეული დავალებების შესრულებისათვის ყოველთვიურად უფლებამოსილების განხორციელებისათვის განესაზღვროს ზღვრული მოცულობა თვეში 500(ხუთასი) ლარის ოდენობით.

მუხლი 2

დადგენილება ძალაში შევიდეს 2012 წლის პირველი ნოემბრიდან

ბოლნისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ნოდარ საბიაშვილი**